


“ნაყროვანნი ღვთის განჩინების მსგავსად არ მიიღებენ საზრდელს”



ან ერთი რამ უნდა ვაცნობოთ ნაყროვანს: ის თავის თავს სიტყვიერად და გონიერად გონებს, და პირუტყვისაგან უფრო სიხენეში არის. პირუტყვთა როგორც ღმერთმან გაუჩინა საზრდელის მიღება, ისინი ისე მიიღებენ. ნაყროვანნი ღვთის განჩინების მსგავსად არ მიიღებენ საზრდელს; ღმერთმან ამისთვის მოსცა საზრდელი და ამისთვის განუჩინა ხორცის არსება კეთილად დაცულ იქმნას.

ნაყროვანი არსების დამცველად არ ხმარობს საზრდელს, უფროსად სულთა და ხორცთა მავნებელად, ვითარცა ზემო ვთქუ. კაცს რომ საზრდელი მოსცემია ღვთისაგან, ნაყროვანი ისე არ ხმარობს საზრდელს; მოცემულისაგან გარეშე სხვად რადმე ბოროტად ჰხმარობს. ღმერთმან კაცს საზრდელი მისაღებელად მოსცა, ვითარცა ჰრქუა ადამს: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა“. უფლისა სიტყუა ასე არის: „სჭამდე“; ნაყროვანი რომ მიიღებს, მას ჭამა არ ეწოდება: საძაგელი შთაყრა ეწოდება, ვითარცა იტყვის მიხითარ ფილოსოფოსი: „ნაყროვანთა ამისთვის ებედნოდა ნაყროვან, ვინათგან შთაყრიან ნაყარსა მუცელთა შინა თვისთა“.

სიტყვიერმან კაცმან ჭამა არ უწოდეს, საძაგლად რადმე ჰყრიდეს თავის თავში, ამისგან უფრო უშუერი რა უნდა იქმნეს! მაგრამ უდიდესი და უსაშინელესი უშუერება ჰსჩანს ნაყროვნისა შორის: ეს უშუერება ჰსჩანს: ნაყროვანი ყოვლითურთ ეშმაკის მსგავსი არის; ეშმაკს ღვთის მცნება ჰსძაგს, – ნაყროვანსაც ღვთის მცნება (ესე იგი მარხუა) სძაგს; ეშმაკს სძულს კაცი, ნაყროვანსაც სძულს კაცი ამის შიშისათვის – საზრდელი არ მიუღოს; ეშმაკი ღვთისა მიერის ნათლისაგან ილტვის და ჰსძულს; ნაყროვანიც ნათლისაგან ილტვის და ჰსძულს.

წმინდა ანტონ ჭყონდიდელი